№ 88

სამშაბათი 24 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 88

სამშაბათი 24 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

**სამსონ დარისპანის ძე წერეთელი** შვილებითა და მისნი ძმისწულნი **ნინო და ნატალია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის ცოლისას, მეორენი—დედისას, ხოლო უკანასკნელნი—რძლისას

## ეკატერინე წერეთლისას

და სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. გარეჯვარში, სადაც განსვენებულის გვამი დაკრძალულ იქნება ხუთშაბათს, 27 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღე.
(4—6.—2)

## სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის.

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები იქნება 25-დგან 28 აპრილამდე, დილის 9 საათზედ, სასწავლებლის შენობაში. იმათ, რომელთაც თხოვნასთან ერთად ჯეროვანი საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგენიათ, ვთხოვთ იზრუნონ მათდა წარმოსადგენად 22 აპრილისათვის.
(8—6.—7)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ð საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ð გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუგაა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სანგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო: კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ყარსის სამაზრო ხაზინის ბუჰგალტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ნ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის კანცელარიის მოხელეს ქ უ რ ც ი კ ი ძ ე ს.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი—არდაგანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ—24 ძვირფასი ნივთი.

მცხეთის დედათა მონასტრის იგუმენიამ ნინომ—მშვენივრად ნაკერი ბალიში.

## ახალი ამბავი

⁂ 20 აპრილს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ აცნობა ბათუმის ქალაქის მოურავს, რომ საერო განათლების მინისტრმა შეიწყნარა ბათუმის თვითმმართველობის შუამდგომლობა ბათუმში დედათა გიმნაზიის დაარსების შესახებ. ხაზინიდგან მომავალ გიმნაზიას 2000 მანეთი მიეცემა წელიწადში. გიმნაზია ბათუმში ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ იქნება დაარსებული.

⁂ საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოსთან უნდა შესდგეს განსაკუთრებული საეგზამენაციო კომისსია. ეს კომისსია მაისში ტფილისის ყველა სამრევლო-საეკკლესიო სკოლაში ეგზამენს მოახდენს. კომისიის წევრებად უმთავრესად სა-

# ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან
(ჩვენის თანამშრომელისაგან)

### VI

როდსი ლონდონში.—ევროპისა და ამერიკის საზოგადოების აზრი: პროფესორი მომსენი; სასაცილოდ აგდებული ელჩი, სტვენით გასტუმრებული არტისტი ქალი კიპლინგის პატრიოტულ ლექსებისათვის.—პოლიტიკური ინტერესები ირყევა.—უცნაური ლიტერატურული გამოკვლევა მარქსის შესახებ.

საფინანსო ომის ერთი გმირთაგანი, სამხრეთ აფრიკის მონების პატრონთა მეთაური და ჩემბერლენის მეგობარი სესილ როდსი ლონდონში ჩამობრძანდა. ამ ხანად გმირს უბრალოდ და თითქმის უგულოდ მიეგებნენ. სად გაჰქრა ძლევა-მოსილ კრეზის თავხედი თვით-რწმენა, გადაჭარბებული და ხმა-მაღალი „ვაშას“ ძახილი იმის მომხრეთა და მის მიერ დაქირავებულთაგან ჟურნალ-გაზეთებსა, ბირჟასა და საზოგადოებაში? ყველაფერმა ჩუმად, წყნარად ჩაიარა, თითქოს სცხვენიანთო. და მერე სასირცხვილო რა ჰქონდათ? ხომ სისრულეში მოჰყავთ ტრანსვაალის დამონავებისა და იმის სიმდიდრის ხელთჩგდების გეგმა, რასაც ამდენი ხანია გულით მოწადინებულნი იყვნენ როდსი, მილნერი, ჩემბერლენი და ამხანაგობა: ინგლისისა და ბურების ახალგაზდათა სისხლით სამაგლითოდ ირწყვება ის ველ-მინდორი, სადაც უთვალავი ოქროა დამარხული. ამას იყვნენ მოწადინებულნი და ეხლა სიხარულის მეტი არაფერი დარჩენიათ. მაგრამ, უყურეთ, სიხარულის ნაცვლად, მოულოდნელად მწუხარებას მიეცნენ... „იცის კატამ, ვისი ხორცი შესჭამაო“, ნათქვამია...

ყველა ამ ვაჟბატონებმა, ძლევამოსილთ და მართვა-გამგეობის სათავეში მდგომთ, ეხლა სხვა ნაირად მორთეს ლაპარაკი, ყველანი ერთხმად გაიძახიან, რომ ჩვენ არ გამოგვიწვევია ეს ომი, რომ ჩვენ სრულიად უდანაშაულონი ვართ, საჯაროდ თავსკი გვჭრიან და გვარცხვენენო. როდესაც პარლამენტმა მოითხოვა, რომ კომისია იქმნას დანიშნული ომის მიზეზთა გამოსაკვლევად, ჩემბერლენმა ტრაგიკულის ხმით სთქვა, რომ „მათ საპარლამენტო კომისია კი არა, ჩემი პოლიტიკურად დასჯა (execution) უნდათო“. ამავე დროს სერ ალფრედ მილნერი საჯაროდ აცხადებს კაპშტადში და ტელეგრაფიც იმის სიტყვებს ლონდონში ისტუმრებს, რომ „მე, უდანაშაულოს, ტალახში მსვრიან და ფეხით მთელავენო... ძალ-მომრეობასა-კი არა ვქადაგობდი ბოერების წინააღმდეგ, არამედ იმას, რომ „მოწყალედ და სიმართლით მოვქცეოდით იმათაო“. ხოლო თვით თავხედი, პატივის მოყვარე და მონობისა და მტაცებლობის გამავრცელებელი როდსი შეუმჩნეველი ხდება. ყველა ეს ვაჟბატონები უჩივიან ჟურნალებს და გაზეთებს. გასაოცარი არ არის ესა?

ხომ თითონ იმათ მოისყიდეს, უკეთ რომ ვთქვათ, იყიდეს საუკეთესო გაზეთები; იმათ ოქროს ახლო არ მიეკარა მხოლოდ სამი დიდი გაზეთი და რამდენიმე პატარა გამოცემა... და თვითვე კი უჩივიან ჟურნალ-გაზეთებს.

მაგრამ ასეთია ჭეშმარიტების ძალა, თუნდა ამ ჭეშმარიტების გამომხატველი ერთი კაცი იყოს, იმის წინაშე ძლიერნი მტარვალნიც-კი კანკალებენ. რასაკვირველია, ისეთნი გამცემნი, როგორც ჩემბერლენი და როდსია, *) ნდობის ღირსნი არ არიან და უთუოდ ეს თავის მოკატუნების კომედია ხერხია, ნიღაბია, რომელსაც რამე ახალი კერძო სარგებლობა ამოაფარეს. ამისდა მიუხედავად ეს საჩივრები და თავის მოკატუნება იმათი, ვინც ქვეყნის საქმეებს განაგებს, საყურადღებო და საგულისხმოა. ეს ვაჟბატონები ძალაუნებურად დაუფიქრდნენ თავიანთის სისხლით მორწყულ ნამოქმედარის ნაყოფს.

ხოლო დასაფიქრებელი ბევრი რამ არის.

ჯერ ისევ ამ ორის წლის წინად ინგლისელებს ყველგან პატივისცემითა და სიყვარულით ეგებებოდნენ; ყველგან ინგლისელნი ძვირფასი სტუმრები იყვნენ. ეხლა-კი ნიცცასა, პარიჟსა, ბელგიასა, გერმანიასა და ამერიკაში ინგლისელნი ეჯავრებათ, ასე გასინჯეთ, სდევნიან კიდეც. ის, თუ რასა ჰფიქრობენ გერმანიის მოწინავე და სწავლული კაცები, მშვენივრად გამოხატა მხცოვანმა და უდიდესმა ცოცხალ ისტორიკოსთა შორის პროფესორმა მომსენმა.

„ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ნემცების სიყვარული ინგლისელების მიმართ, სამწუხაროდ, შესამჩნევად სუსტდება... მახსოვს, ახალგაზდობისას ინგლისი ჩვენთვის პროგრესის თავშესაფარი იყო, ინტელექტუალურ და პოლიტიკურ ცხოვრების თავისუფალი სახელმწიფო; ბაირონთან ერთად ჩვენ გულის წყრომას ვძლეოდით, დიკკენსთან ერთად ვიცინოდით... სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრება შავის ღრუბლებით იყო ჩამობნელებული და ჩვენ დიდად ვაფასებდით პატარა, მაგრამ ზღვაზედ გამეფებულს ქვეყანას... ეხლა-კი სურათმა ფერი იცვალა... დამორჩილებულ ხალხის უფლებათა ფეხ ქვეშ გათელა, ფულის გამეფება, ქვენა და პირუტყვულ ინსტიქტების გაბატონება... ყველა ეს ადვილ დასანახ ჭეშმარიტებად გარდაიქცა. ყველა ნემეცი ბოერების მომხრეა იმიტომ კი არა, რომ ისინი ვითომ მახლობელნი, ნათესავნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ინგლისელების მიმართ სიძულვილმა საზოგადოდ უაღრესს ხარისხამდე მიაღწია, ხოლო კერძოდ ეს სიძულილი გააორკეცა ამ ომმა, რომელიც იმდენად უბედურებას არ შეადგენს, რამდენადაც დამცირებას და სირცხვილს... ხოლო თუ ინგლისელებს კეთილგონიერება კიდევ შერჩენიათ, მათ უეჭველად ჩემბერლენის მოქმედებას ზღუდე უნდა დაუდონ,—დიდ, ამ ზღუდეო

*) ჩემბერლენი პირველად, როდესაც მან საპოლიტიკო მოღვაწეობა დაიწყო, სოციალ-რესპუბლიკელი იყო, მერე რადიკალად გადაიქცა, შემდეგ ლიბერალად, მერე უნიონისტად (კონსერვატიული ლიბერალი) და ბოლოს კონსერვატიულ იმპერიალისტად მოინათლა.—როდსიც ჯერ ლიბერალური რადიკალი იყო და 100,000 მანეთი გადასდო ირლანდიაში Hom-Rule-ის აგიტაციისათვის. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ბარრი ბრაიინი თავისს წიგნს „პარნელის ცხოვრება“-ში.

სულიერო სემინარიის მასწავლებელნი იქნებიან.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში 24 ამა აპრილიდგან აღკრძალა წარმოდგენების, კონცერტების და საღამოების გამართვა, ვიდრე ამ თეატრს არ გადააკეთებენ ისე, როგორც ტეხნიკოსთა კომისიამ სცნო საჭიროდ.

*** 22 აპრილს ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება ბ-ნ ჭრელაშვილის ქალაქის მდივნად და ბ-ნ ასლამაზოვის ლომბარდის გამგედ არჩევის შესახებ.

*** აზრადა ჰქონდათ ამა მიმდინარე წლის დეკემბერს ტფილისში მკურნალთა კრება გაემართათ. როგორც ეხლა ისმის, კრება მომავალის წლის აპრილისთვის გადაუდვიათ. სამკურნალო საზოგადოების მიერ არჩეული განსაკუთრებული კომისია ამ ჟამად იმ მოხსენების შემუშავებაშია, რომელიც განზრახულ კრებას უნდა წარუდგინოს.

*** შემდეგი ქართული სახალხო წარმოდგენა დანიშნულია 30 აპრილისათვის. წარმოდგენილი იქმნება ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენის შემდეგ აჩვენებენ სურათებს ნანსენის მოგზაურობიდგან ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ.

*** 1-ლ მაისიდგან რკინის გზებზე შემოღებული იქმნება ახალი ტარიფი ხე-ტყისა და შეშის გადასაზიდად.

*** რადგანაც განზრახულ სახალხო თეატრისათვის ნიკოლოოზისა და ანდრეევის ქუჩებზედ თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა (იმ ქალაქის ადგილებზედ, სადაც თეატრი უნდა აეშენებინათ, აზრადა აქვთ მომავალ საქალაქო სკოლების შენობანიააგონ) და რადგანაც ბ-ნმა ისარლოვმა თავისი ადგილი ძვირად დააფასა, ამიტომ კომისიამ დაადგინა სახალხო თეატრი ვერის ხიდის მახლობლად ააგოს მტკვრის მარჯვენა მხარეს პოლკოვნიკის ყორღანოვის მამულში.

*** ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას აზრადა აქვს 30 აპრილს სახალხო სეირნობა გამართოს. სეირნობა მუშტაიდში გაიმართება.

*** რადგან 21 აპრილისათვის დანიშნული კრება წევრთა დასწრებისაგან გადამრჩენ საზოგადოების წევრთა არ შესდგა, 30 აპრილისათვის გადაიდო.

*** ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში წლიური აქტი 30 აპრილს გაიმართება.

*** ქ. ტფილისს შარშან, 1899 წელს, სამკურნალო-სასანიტარო საქმეებზედ დაეხარჯა სულ 122,940 მანეთი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში უკანასკნელად მომხდარ საჯარო ვაჭრობის დროს ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმე მეიჯარადრეს დ. ჯიჯიკაშვს დარჩა, რომელმაც ერთი ოთხკუთხი საჟენი 1 მან. 65 კაპეიკად უნდა მოკირწყლოს. სულ მოსაკირწყლავია 15,000 ოთხ-კუთხი საჟენი.

*** პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ჩაქვის ჩაიც გაუგზავნიათ. ამ ჩაის ნიმუშებს გამოფენაზედ ყველას უსასყიდლოდ ურიგებენ თურმე.

*** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მე-IV ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „ქრისტე აღსდგა“—ლექსი გ. წერეთლისა; 2, „ტოროლას ბარტყების სიყვარული“—იაკობ გოგებაშვილისა; 3, „მავარდენი“—ილიკოსი; 4, „ბუღ-კუთილი გოგლი“—კ. კაკ—ძისა; 5, „ექვსი ამხანაგი“—თარგმ. ლიზა მესხიშვილისა; 6, „ზამთარი და ზაფხული“—ლექსი დ. თომაშვილისა; 7, „სამასი თავდადებული გლეხი“ (ისტორიული)—იაკობ გოგებაშვილისა; 8, ტრანსვაალის ომი—ა. ყუშისთაველისა, 9, ჭაერში ფრენა—ილიკოსი; 10, პატარა მკითხველების წერილები; 11, წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, უჯრების ამოცანა, შარადა, რებუსი.

*** როგორც „ტფ. ფურც.“ თემირ-ხან-შურიდგან ატყობინებენ, 21 აპრილს იქ მოუკლავთ პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი შტაბს-კაპიტანი კასიელ პავლეს ძე აპრელევი.

*** 22 აპრილს ქ. თელავში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესიამ განიხილა საქმე თავ. ივანე ნიკოლოოზის ძის ჯორჯაძისა, ლევის მაჭმად ანტილაშვილისა და გლეხის ცოლის მარიამ ტატულაშვილისა, რომელთაც ბრალად ედებათ ამ უკანასკნელის ქმრის სიხრალო ტატულაშვილის მოკვლა. ეს მკვლელობა „ივერიის“ მკითხველებს უთუოდ ახსოვთ. იგი 1896 წელს მოხდა და მხოლოდ 1898 წელს გამოაშკარავდა. 1898 წელს ლევი ანტილაშვილი დაუჭერიათ, რადგანაც ბაშვორთი არა ჰქონია და მაშინ ანტილაშვილი გამოტეხილა და გამოუცხადებია, რომ 1896 წელს მაისში თავად ჯორჯაძემ მიიწვია თავისს სახლში ტატულაშვილი, დაათრო, ქვა დაარტყა თავში და მოჰკლაო. შემდეგ გვამი წვრილ-წვრილად დავჭერით, ტომში ჩავიღეთ და იქ ჩავფლეთო. მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ჯორჯაძეს ტატულაშვილის თავიდგან მოშორება სდომებია, რადგანაც ტატულაშვილის ცოლი თავ. ჯორჯაძეს საყვარელი ყოფილა.

როგორც „ტფ. ფურც.“ სწერს, საქმის გარჩევის დროს სასამართლოს დარბაზი ხალხით სავსე ყოფილა. თავ. ჯორჯაძეს ნაფ. ქალის თანაშემწე მ. ო. გრუზენბერგი იცავდა თურმე და მარიამ ტატულაშვილს—ნაფიცი ვექილი ბახუტაშვილი.

სასამართლომ, განიხილავს რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნა ბრალდებულნი და გადაუწყვეტია კატორღაში გაგზავნა თავ. ჯორჯაძესა და ლევის ანტილაშვილისათვის ათ ათი წლით, ხოლო მარიამ ტატულაშვილისათვის—12 წლით.

*** კავკავი. 15 აპრილს ისეთი ძლიერი წვიმა იყო აქ, რომ იმის მსგავსი ამ 12 წლის განმავლობაში არ გვინახავს. ქუჩებში წყალი დადგა და ეტლებსაც უჭირდა მუშაობა, თორემ ფეხით სიარული ხომ სრულიად შეუძლებელი იყო.

### კრება ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა 15 აპრილს.

კრებას დაესწრო 250 წევრამდე. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა რჩევის თავმჯდომარე დ. ნ. ბაქრაძე, რომელმაც ეს კრება განონიერ კრებად გამოაცხადა. გამგეობის დირექტორმა თ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა გამგეობის მიერ შედგენილი ანგარიში, საიდგანაც სჩანს, რომ წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების ადებმიცემობის რაოდენობას შეადგენდა 46,317,095 მან. და 26 კაპ., ხოლო გასავალ-შემოსავლის 14,021,674 მან. და 95 კაპ.; წევრთა რიცხვს მოემატებია 92 კაცი და ამგვარად ეს რიცხვი ასულა 1322-დე; ამასთან მარითადი თანხა გაძლიერებულა 3230 მანეთით და ამ ჟამად 145,925 მანეთია; სათადარიგო თანხას მოემატებია 3629 მან. და 50 კაპ.; ამას რომ დავუმატოთ საანგარიშო წლის მოგებიდგან გადადებული 1916 მ. და 23 კაპ., იგი შეიქმნება 44844 მან. და 62 კაპ. მოსახსენებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ უვადოდ შესანახად შეტანილის ფულის ჯამსაც მოემატებია 56438 მან. 72 კაპ., ხოლო გადანისას 150955 მ.; საზოგადოებ ჯამი ასულა 1,020,017 მანეთამდე. წმინდა მოგება ბანკს დარჩენია 19,162 მან. 23 კაპ.; აქედგან სატეხნიკო და სახელოსნო ცოდნის გასავრცელებლად გადადებულია 1916 მან. 23 კაპ. ამ თანხის ჯამი ეხლა 22,800 მანეთია.

სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად ამ მოგებიდგან გადადებულია, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, 1916 მან. 23 კაპ. წევრთა შორის გასანაწილებლად რჩება 13405 მ. 42 კაპ., ამ გვარად დივიდენდი სრულს წევრს ერგება 8 მ. 30 კაპ. და პრემია 1 მ. 38 კაპ.

გამგეობას მინისტრის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა, რათა ბანკს უფლება ჰქონდეს არა წევრთაგანაც მიიღოს შესანახად ფული, მაგრამ ეს შუამდგომლობა მინისტრს არ შეუწყნარებია; გამგეობა მაინც არ ჰკარგავს იმედს, რომ ამ უფლებას მომავალში მიიღებს, რადგან იგი უფლება რუსეთის მრავალს ამგვარ ბანკს აქვს.

წარსული წლიწადი იყო მეოცე საანგარიშო წლიწადი. როგორც ბანკის მდგომარეობიდგან სჩანს, საზოგადოება აფართოებს თავისს საქმეებს.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ რამდენიმე შენიშვნა წარმოსთქვა კრების ერთმა წევრმა ბ-ნ მაღლაკელიძემ, რომელიც სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გამგეობის ზოგიერთი მოქმედება წესიერად არ არის ნაწარმოები, მაგრამ გამგეობის თავმჯდომარემ თ. პ. ა. თუმანიშვილმა და დირექტორმა თ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ ცხადად დაანახვეს საზოგადოებას, რომ ბ-ნ მაღლაკელის შენიშვნები სრულიად უსაფუძვლო და უმნიშვნელოა, რომ გამგეობას სრულის შეგნებითა და სინიდისიერად უმოქმედნია და არავითარი ნაკლულევანება ამ მხრით ბანკის საქმეებს არა აქვს.

საზოგადოებას მოახსენეს საანგარიშო წლის უვადო მოხდენილი ხარჯები, რომელთაგან 100 მან. ადგილობრივ სამკურნალო სკოლაში გამართულ გამოფენას მოახმარეს, და 500 მან. მიეცა იმ კომისიას, რომელსაც პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე გაუგზავნია ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა ნაწარმოები. ამ გარემოებას გამოუწვევია საბჭოს აზრი შესახებ იმისა, რომ საბჭოს სრულს განკარგულებაში იყოს რაოდენიმე ფული მოულოდნელის შემთხვევებისათვის. კრებამ საბჭოს ეს წინადადება შეიწყნარა და 500 მან. გადასდო ამ საგნისათვის. შემდეგ კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და მეორე მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ეს ხარჯები შეადგენს 32,180 მანეთს, რაიცა კრების მიერ შეწყნარებულ იქმნა. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას საბჭოს აზრი, რომ გამგეობის დირექტორი თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, რომელიც ერთგულად და თავგამოწირულად ემსახურება საზოგადოებას, და-

---

შორის მოაწყოს თავისს ნათესავების საქმეები,—და გულ-ნატკენ ერს კი (ბოერებს) მიანიჭოს არა მარტო მშვიდობიანობა, არამედ სრული დამოუკიდებლობა, რომლისაც მათ უფლება აქვთ“.

ამას გვეუბნება ისტორია უდიდესის მოხუცის ბაგით და იგი ამაზედ უკეთესს გამომთქმელს ვერსად იპოვიდა.

უფრო ძლიერად და საერო სახელისათვის საწყენად გაჰკიცხა აწინდელი ინგლისი პარიჟის გამოფენის გახსნის დღესასწაულის დროს მთელის განათლებულ ქვეყნის საზოგადოების აზრმა. როდესაც ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის გამოჩნდა ინგლისის ელჩი, საზოგადოება, რომელიც აგრეთვე ყველა ერის წარმომადგენელთაგან შესდგებოდა, „გაუმარჯოს ბოერებს“ და „შორს ჩვენგან ინგლისიო“ ჰყვიროდა. თითქმის პირველი მაგალითია ეს, რომ ინგლისის ელჩი არა ჩვეულებრივის სტვენით გაუცილებიათ.

საგულისხმო და დამაფიქრებულია აგრეთვე ჩივილი და გოდება ცნობილ დრამატიულ არტისტის ინგლისელ ქალის ქ-ნ ლენგტრისა, რომელიც ჯერ ისევ ომის დაწყებამდე იყო წასული წარმოდგენებისათვის ამერიკაში. ლენგტრი წინადაც არა ერთხელ ყოფილა ამერიკის შტატებში; ყველგან ამ არტისტს-ქალს ოვაციებით ეგებებოდნენ. მაგრამ ეხლა ინგლისის მიმართ სიძულილმა იქამდე მიაღწია, რომ საზოგადოების წინანდელი საყვარელი არტისტი წარმოდგენების გამართვასაც-კი ვეღარ ახერხებდა. განსაკუთრებით საზოგადოებას აღელვებდა „პატრიოტისა“ და იმპერიალისტის რიდიარდ კიპლინგის პატარა, მაგრამ გულისა და სულის ამღვრევი პოემა—„უზრუნველი მთხოვარა“, რომელსაც ქ-ნი ლენგტრი თეატრებში კითხულობდა ხოლმე. ეს აღელვება და უკმაყოფილება ამერიკელთა სასახელოდ უნდა ჩაითვალოს, იმ ამერიკელთა, რომელთა შორის ჯერ ისევ ამ ერთის წლის წინად კიპლინგი იმდენად იყო განთქმული, რომ იმის სახელით ახლად აღორძინებული ქალაქი მონათლეს.

კიპლინგის პოემა-კი მართლაც საზიზღარი რამ არის. ამ პოემის გმირი—მათხოვარა—ინგლისელი ჯარის კაცია! პოეტს უნდოდა დუქნებისა და ყავახანების მოუხეშავი პატრიოტნი აეღელვებინა და ამისათვის ომში დაღუპულთა ქვრივებისა და ობლების შესაწევრად მოწოდებისათვის საუკეთესოდა სცნო მხოლოდ ეს სიტყვები: „გადაიხადე, გადაიხადე, გადაიხადე!“ თითქოს სისხლის დაფასება შესაძლებელი იყოს! ან შეიძლებოდეს სიცოცხლის ფულით ყიდვა და გაყიდვა.

ნათქვამია, როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო! კაპიტალისტებმა გამოიწვიეს ომი და მათვე, სინიდისისა, პატიოსნებისა და თავისუფლების ვაჭრებმა, თავიანთი კაპიტალიზმის მაქებ-მადიდებელი პოეტიც გამოსძებნეს.

ომმა საპოლიტიკო საქმეშიაც ცუდი გავლენა იქონია. ინგლისის სამხედრო სახელს რომ თავი დავანებოთ, იმ 38 მილიონ ხალხით დასახლებულ სახელმწიფოს სამხედრო სახელს, რომელსაც ხელ-ფეხი შეუკრეს ერთ მუჭა კარგად შეიარაღებულმა მთიელებმა, ინგლისს ამ ომის გამო პირდაპირი ზარალიც მოუვიდა. მაგალითად, რკინის გზის ახალი კონცესია მცირე აზიასა და სირიაში, რომელიც რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას დაეთმო, ინგლისელებისთვის მავნებელია საპოლიტიკო და საფინანსო საქმეებში. ასევე ცუდად არის ინგლისის საქმეები აბაშეთსა, ავღანეთსა და სპარსეთში... ამან უკვე დააფიქრა City-ს ფინანსისტები და ბირჟის მომქმედნი. სწორე მოგახსენოთ, დასაფიქრებელიც არის! განსაკუთრებით თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ 350 ათას გლეხის წინააღმდეგ დაწყებული ომი ინგლისს ჯერ-ჯერობით 17 ათას კაცად უღირს. ზოგი ამათგანი მოკლულია და ზოგიც დაჭრილი. ამავე ომს ნახევარ მილიარდამდე მანეთი მოუნდა. ომისავე წყალობით აიწია ჩაისა, თამბაქოსა და ლუდზედ გაწერილმა გადასახადმა.

დიალ, როდსმა, მილნერმა, ჩემბერლენმა და ამხანაგობამ ნება-უნებურად უნდა თავი მოიკატუნონ, იმართლონ და შეაბრალონ ხალხს.

* * *

ამ წერილშიაც ვერ მოვახერხე განმეგრძო აწინდელის საზოგადოებრივ გაჭირვების მიზეზთა განხილვა. მაშ ამ წერილს დავამთავრებ ახალის ამბით, რომელიც, ადრე იქნება თუ გვიან, გზას გაიკვლევს რუსეთისა და ჩვენს ლიტერატურაშიაც!.. ჩვენშიაც,—ვამბობ, იმიტომ-რომ ჩვენშიაც ხომ, სტრუვეს, ბელტოვისა, ბარანოვსკებისა, ვოლგინებისა და სხვათა მრავალთა „მეცნიერების გმირთა“ წყალობით, მარქსიზმი წინ წამოყენებულია ვითარცა უდიდებულესი თვით-არსი, ახალი მეცნიერება. ჩვენ, უბრალო სიკვდილის შვილთ, რომელთაც აქა-იქა უკითხავთ, ხოლო დიალექტიკისა და მეტაფიზიკის წმიდათა-წმიდაში შესვლის თამამი აზრიც არ მოსვლიათ, დიდის ამბით განგვიმარტეს და აგვიხსნეს, რომ მარქსმა და ენგელსმა—ამ ორმა უდიდებულესმა გენიოსმა—აღმოაჩინესო ახალი კანონები, რომელნიც ყოვლად მიუწვდომელია უვიცთათვის, იმათთვის, ვისაც დიალექტიკა და მეტაფიზიკა არ შეუსწავლიათო.

სწავლულთა კაცთა დიდის ზეიმით გამოაცხადეს ესე და ჩვენც ვირწმუნეთ, ვირწმუნეთ იმიტომ, რომ მეცნიერებაა!.. და, წარმოიდგინეთ, თურმე ეს დიადნი აღმოჩენანი მარქსსა და ენგელსს გადმოუწერიათ „უვიც“ და გამოჩერჩეტებულ მეოცნებე ფურიერისტებისა და ოვენისტებისაგან... აი, საკვირველი ამბავი!.. ვთქვათ მე, უვიცობისა გამო, რისაკვირველია, ყოველთვის ვიხსენიებდი ვოლტერის სიტყვებს, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის შესახებ თქმულს, და ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ, „როდესაც ორი ფილოსოფოსი ჰლაპარაკობენ და ერთმანეთისა არა გაეგებათ-რა—ამ დროს მეტაფიზიკაში არიან გართულნი, ხოლო როდესაც თავისის თავისაც არა ესმით-რა,—უმაღლეს მეტაფიზიკაში არიან გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოვებულ იქმნას ათასის მანეთით. კრებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. ნახევარის წლის ჯამაგირით იქმნა დაჯილდოვებული აგრეთვე ხაზინადარი ბანკისა ბ-ნი კ. დ. ბაქრაძე, რომელიც თხუთმეტის წლის განმავლობაში ემსახურებოდა საზოგადოებას და ახლა თავი დაანება სამსახურს.

ბოლოს კრებამ მოისმინა ანგარიში იმ ხარჯებისა, რომელნიც გამოუწვევია ბანკის საკუთარის სადგომის აშენებას. ეს ხარჯი დაწვრილებით აღნუსხულია და დაბეჭდილი პატარა ბროშურად, საიდგანაც სჩანს, რომ ამ შენობაზედ დახარჯულა 48,918 მან. 99 კაპ. ეს სახლი არის ერთი საუკეთესო, მკვიდრი და საშვილიშვილო შენობა მთელს ქუთაისში. იგი იმყოფება შუაგულ ქალაქში და ყოველმხრით აკმაყოფილებს ბანკის რთულს მოთხოვნილებას.

შემდეგ ერთხმივ უკენჭოდ ამოირჩიეს დირექტორად ისევ თ. გ. ბ. ლორთქიფანიძე და საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრებად და მათ კანდიდატებად ისევ უწინდელნი დარჩნენ.

კრება საღამოს თერთმეტ საათზე დასრულდა.

ზ—ი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიჟნი-ნოვგოროდში აღდგომის მეორე დღეს მისულა.... პრეზიდენტი კრიუგერი. მკითხველს შეიძლება ტრანსვაალის მოხუცი პრეზიდენტი ეგონოს, არა, ამ სახელით ერთ გემის პატრონს თავისი ახალი გემი მოუნათლავს. ამის გამო ადგილობრივ გაზეთს სამასხარო დეპეშები დაუბეჭდია, ვითომ ტრანსვაალში გაგზავნილი და იქიდგან მიღებული. ნიჟნი-ნოვგოროდიდგან გაგზავნილი: „მოგვილოცეთ: ვოლგაში ახალი გემი გაჩნდა, რომელსაც აქაურმა ბურებმა „კრიუგერი“ დაარქვეს. ვსვამთ ნავთს თქვენ სადღეგძელოდ“. პრეტორიიდგან მიღებული: „მეტად გაგვახარეთ თქვენის დეპეშით. მადლობის ნიშნად ვუგზავნით თქვენ პრეზიდენტს ტყვე-ინგლისელს“.

* * *

როგორც ერთი რუსული გაზეთი იუწყება, ვარშავაში აზრადა აქვთ დააარსონ უფასო გაზეთი ღარიბებისათვის. დამაარსებელთ განუზრახავთ ორის წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ურიგონ გაზეთი ღარიბებს, შემდეგ-კი სულ მცირე სასყიდელი შემოიღონ. რათა დამტარებლებზედ ფული არ დაიხარჯოს, ხელის მომწერი ვალდებული იქმნება თვით შევიდეს რედაქციაში და წაიღოს გაზეთი. გაზეთის დამაარსებელთ იმედი აქვთ, რომ ამ გაზეთს ბევრი განცხადებები ექმნება და ხარჯს იმით დაჰფარავენ.

* * *

როგორც ვუწყით ხშირად ფოსტაში დეპეშებს ძალიან ამახინჯებენ. „Восточ. Вѣстн.“-ში დაბეჭდილია ნიმუში ასეთის დამახინჯებულის დეპეშისა. ეს დეპეშა რედაქციას მიუღია. აი რა ყოფილა შიგ: „ლონდონი მარცხენა მხარე დნეპრისა ქალაქის გარეშემო გზები თოვლითაა დაფენილი რკინის გზამ მიმოსვლა შეაჩერა ერთი არშინი თოვლია ვიატკაში ბურებს ინგლისელებს შორის სთქვა მინისტრმა, რომ კარგად ვხედავ იმ გრძნობებს, რომელნიც ხალხს აფრთოვანებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ...“ და შემდეგ რომიდგან გამოგზავნილი დეპეშაა მოყვანილი. ამ აბდა-უბდა დეპეშას ქვეშ ასე აწერია თურმე: „ნამდვილთან სწორია“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს, დილის თერთმეტ საათზე, ხელმწიფე დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძესთან ერთად მიბრძანდა ცესარევიჩ ნიკოლოოზის ლიცეიში. ხელმწიფეს მიეგება ლიცეის დირექტორი. ლიცეის დათვალიერების დროს მისმა უდიდებულესობამ იკითხა,—რა წლოვანების ბავშვებს ღებულობთ, რომელი გაკვეთილი იყო და იქმნება უმცროს კლასშიო, და დაათვალიერა მოსწავლეების ნახატები; გაიარა-რა დარბაზი, რომელშიაც მოსწავლეები იდგნენ, სალამი უბოძა მათ, შებრძანდა ფიზიკურს კაბინეტში, ხოლო შემდეგ მერვე კლასში და მოიწონა მოსწავლეების სახის მხნე გამომეტყველება. ხელმწიფის კითხვაზე, დირექტორმა მოახსენა, რომ ლიცეიში დიდი ყურადღებაა მიქცეული ფიზიკურს განვითარებაზეო. წიგნთსაცავში ხელმწიფემ, თავისი სახელი აღნიშნა რა ალბომში, შენიშნა ბრაზილიის იმპერატორად ნამყოფისა და სხვათა სახელები. მისაღებს ოთახში ხელმწიფემ დაათვალიერა კატკოვის სურათი, პუშკინის ბიუსტი და „ბორის გოდუნოვის“ მოთამაშეთა დასი. ხელმწიფე შებრძანდა პანსიონერების სადგომში, საუნივერსიტეტო განყოფილებაში, ყურადღება მიაქცია ლიცეის დიდს ბაღს, სტუდენტების ოთახში შებრძანდა და ზოგიერთებთან მოწყალედ ინება საუბრობა. სააქტო დარბაზში, საცა ყველა მოსწავლეები შეიკრიბნენ, ხელმწიფეს მიეგება მღვდელი ჯვრით ხელში და აიაზმით, და მოისმინა მცირე პარაკლისი.

ხელმწიფე შებრძანდა შემდეგ საავადმყოფოში და კეთილ-ინება მოწყალედ ესაუბრნა ავადმყოფებთან; საგიმნასტიკო დარბაზში უყურა მოსწავლეების ვარჯიშობას და სასტუმრო დარბაზში ყური დაუგდო მეჩანგურეთა დასს, რომელიც გაწვრთნილია მოსწავლე იაზიკოვის მიერ, რომელიც მისმა უდიდებულესობამ გააბედნიერა მოწყალე სიტყვებით. მისმა უდიდებულესობამ მადლობა უთხრა დირექტორს, ბრძანა დაეთხოვათ მოსწავლეები სამი დღით და ლიცეის მოსწავლეთა აღტაცებულ ხმაურობაში დასტოვა ლიცეი.

დღეს იმპერატრიცა, რომელსაც ახლდა დიდი მთავრინა, მიბრძანდა ბავშვების თავშესაფარში, რომელიც დაარსებულია თავად-აზნაურობის მიერ ცესარევიჩის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა და მისის უავგუსტოესის დანიშნულის სახელობაზე. კარებთან ხელმწიფას მიეგებნენ გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლთა მეუღლენი, მზრუნველის თანაშემწე ტუჩკოვაია, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და საბჭოს წევრები. კნეინა ტრუბეცკაიას ბედნიერება ჰქონდა მიერთმია ხელმწიფასათვის ყვავილების თაიგული, ხოლო მოსკოვის მაზრის წინამძღოლის მეუღლემ მიართვა დიდს მთავრინას თაიგული. ხელმწიფამ, შებრძანდა-რა ბავშვებთან, იკითხა იმათ ჯანსაღობის შესახებ, დაათვალიერა ბავშვების საცვლები და რვეულები, მოისმინა როგორ კითხულობდა ლექსებს ექვსი პატარა ქალი და ყურადღება მიაქცია ბაღსა და იქ გამართულ ბავშვების თამაშს. მოწყალე სიტყვები უბრძანა-რა წინამძღოლთა მეუღლეთ და მადლობა უთხრა-რა კნეინა ტრუბეცკოისას, ხელმწიფა წაბრძანდა თავშესაფარიდგან ბავშვების მხიარულ ხმაურობის დროს. თბილი და მშვენიერი ამინდია.

დღეს კრემლის დიდი სასახლის ალექსანდრეს დარბაზში გაიმართა უმაღლესი სადღესასწაულო სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ მოსკოვის ადმინისტრაციისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, მოსკოვის უფროსი მოხელენი, კარის კაცნი და ხელმწიფის ამალა. უმაღლესი გამობრძანება მოხდა შვიდ საათს.

**ბრანდფორტი.** ცხენოსანი ქვეითა ჯარი მივიდა მდინარე ვეტთან; სხვა ჯარებიც იქითკენ წავლენ ხვალ. რკინის გზა აღდგენილია ბრანდფორტამდე. გენერალი გენტერსი იუწყება, რომ მდინარე ვაალზე ისე გადავედით, რომ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევიაო.

**ვაშინგტონი.** ოტისი დათხოვნილია ფილიპინების მთავარსარდლობის თანამდებობიდგან. მის მოადგილედ დანიშნულ იქნება მაკ-არტური.

**პარიჟი.** „Petit Caporl“-ი შეუდგა წერილების ბეჭდვას ამ სათაურით: „რუსეთი 1900 წ.“ დღევანდელს წერილში ნათქვამია: „რუსეთი ადგია დიდს წარმატების გზას ქონებრივისა და მრეწველობის მხრივ“, რის დამტკიცებასაც აპირებს გაზეთი ციფრებით.

**ბელგრადი.** გამოცხადებულია მოხსენება სამხედრო მინისტრისა მეფის მიმართ სათადარიგო ჯარის კაცთა გამოწვევის შესახებ, რომელთაც უნდა შეასწავლონ ახალ მსწრაფლ მსროლელ თოფის სროლა.

**ბრანდფორტი.** გამილტონი მივიდა ნილვალკოტთან და გზაში განუწყვეტლად ბრძოლა ჰქონდა მტერთან.

**ბლუმფონტეინი.** გუშინ ჯარებმა გიარეს ჩრდილოეთისაკენ. ინჟინერები გულსმოდგინედ შეუდგნენ ხიდების აღდგენას პატარა მდინარეებზე. ჰფიქრობენ, რომ ბლუმფონტენ—კარრის რკინის გზის ლიანდაგი ორ დღეში იქმნება აღდგენილიო.

**პეტერბურგი.** 22 აპრილი, აივაზოვსკის დასაფლავების დღეს, მხატვრობის აკადემიის წარმომადგენელთა თანადასწრებით, აკადემიის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

23 აპრილი

**პრეტორია.** ბეგბი, რომელმაც თავისი ქარხანა ააფეთქა, და რომელიც წარდგენილ იქმნა პრეტორიის სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე, გამოუშვეს, როცა 500 გირ. სტერლინგი წარადგინა. იმას ჰბრალდება განზრახვა კაცის მოკვლისა.

**ლორენცო-მარკეზი.** აქ მოვიდა ინგლისის 500 ქვეშევრდომი, მომეტებულ ნაწილად ქალები და ბავშვები, რომელნიც იძულებული იყვნენ ტრანსვაალი დაეტოვებინათ.

**ვაშინგტონი.** სენატმა შეიწყნარა საერთაშორისო დადგენილება იმის შესახებ, რომ ჟენევის კონვენცია დაცულ იქმნას ზღვაში ბრძოლის დროსო.

**ვენა.** სამშაბათს მთავრობა წარუდგენს პალატას კანონ-პროექტს ჩეხიაში ენების შესახებ. აზრად აქვთ გაჰყონ ჩეხია 10 ოლქად—ჩეხებისა ხუთი, ნემეცების სამი და შერეული ორი.

**მოსკოვი.** 22 აპრილს ხელმწიფე, ხელმწიფა და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ მიბრძანდნენ სიმონის მონასტერში. მათ უდიდებულესობათ მიეგება კარებთან წინამძღვარი ჯვრითა და აიაზმით. მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ ტიხვინსკის ტაძარში და დაათვალიერეს ღირს შესანიშნავი ნივთები. არხიმანდრიტმა დალოცა ხელმწიფე მაცხოვრის ხატით, ხელმწიფა ყაზანის ღვთის-მშობლისა

---

თულნიო“, მაგრამ ამ აზრისა ვიყავი უვიცობისა გამო და უვიცობითვე ვოლტერი და ფურიე გენიოსებად მიმაჩნდა. „მეცნიერება“, „მეცნიერულიო“, დაგვძახოდნენ მოგვნი მარქსიზმისანი, დიალექტიკასაა და მეტაფიზიკაშიო; მხოლოდ მარქსია მისი წარმომადგენელი და ჩვენ მისნი მოწაფენიო. ყოველივე დანარჩენი-კი მაცთურებაა, ფურიესთანა ჩერჩეტ მეოცნებეთაგან მომდინარეობს, რომელსაც, ფურიეს, „მეცნიერმა“ ბელტოვმა გოგოლის გმირი კოსტანჯოღლოც-კი უწოდა.

ო, დაცინვავ განგებისავ! წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ფურიერისტის ვიქტორ კონსიდერანისაგან გადმოუწერიათ მარქსსა და ენგელსს თავიანთი უშესანიშნავესი „მანიფესტი“ და ერთი სიტყვაც არა აქვთ დაძრული ამის შესახებ, ისე მიუსაკუთრებიათ! უბრალოდ რომ ვთქვათ, შესაზარი ლიტერატურული პლაგიატი, ანუ ქურდობა ჩაუდენიათ.

დაუჯერებლად გეჩვენებათ, მაგრამ ექვს გარეშე-კია. დამწერი გამოკვლევისა შეუბრალებლად ჰსინჯავს მარქსის „მანიფესტის“, 1898 წელს გამოცემულის, ფურცლებს და ადარებს ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტს, 1843 წ. დაბეჭდილს და 1847 წ. მეორედ გამოცემულს.

მარქსის მანიფესტის პირველისავე 14 გვერდზედ გამომკვლეველს ოცდა-თექვსმეტი ნასესხი ადგილი უპოვნია! და ყოველ ასეთ ნასესხებს იგი გვერდით უყენებს ბრწყინვალე და ღრმა აზროვან ადგილებს ვ. კონსიდერანის თხზულებიდგან... მერე როგორი აზრებია ნასესხი!.. თავ-მოყრა კაპიტალისა, მოძღვრება კლასსებად დანაწილებისა და კრიზისების შესახებ, კაპიტალის ძლიერებისა, ახალ ფეოდალიზმისა და სხ. და სხ. გამო... ერთის სიტყვით, ნასესხია ყოველივე ის, რაც მარქსიზმის წმიდათა-წმიდას შეადგენს. განსხვავებაც არის: ვ. კონსიდერანი, ვითარცა მეცნიერი მათემატიკოსი და ნატურალისტი, შეიარაღებულია ნამდვილის მეცნიერების ინდუქტიურის მეთოდით და ამიტომაც მისი აზრი ნათელია, ზედ-მიწევნილია, განმტკიცებულია და დასაბუთებული ფაქტებით. მარქსს-კი, მეტაფიზიკოსს, აზრები უსესხია კონსიდერანისაგან და ეს აზრები გამოუთქვამს იმ გერმანელ მეტაფიზიკოსთა უცნაურის ენით, რომელსაც დიდებული შლოსსერი ბარბაროსულ ენად უწოდებს; ისეთის დიალექტიკით, რომლის შესახებაც პროფესსორი ვუნდტი სწერს, რომ იგი წარმოადგენსო „არა ბუნებრივსა და არა მიმზიდველს ქერქს, რომელიც ჰფარავს და ამახინჯებს აზრსაო“ *). ამისდა მიუხედავად, ფრანგულს ენაზედ მარქსის მთარგმნელებმა, თვისდა უნებურად, მრავალს ადგილას ვ. კონსიდერანის ნათქვამი განიმეორეს სიტყვა-სიტყვით.

სწორედ რომ შემარცხვენელია ასეთი ამბავი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია ამონაწერითვე, ნაწერთა სასტიკის შეფარდებითა და შედარებით დამტკიცებულია, რომ

1) ვითომდა „თვისი“ თეორია ღირებულობის საშრომო დასაწყისისა (трудовое начало цѣнности) (ფრანგულის თარგმანის გვ. 1—2, 2, 17 და 18) მარქსს თავიდგან ბოლომდე უსესხია საპოლიტიკო ეკონომიის დიდებულის მამათ-მთავარის ად. სმიტისაგან („სიმდიდრე ერთა“, გამოცემა 1767 წ., გვ. 1, 34, 35, 38 და 44).

2) მარქსის მიერ ვითომდა აღმოჩენილი „სამატი ღირებულობა“ (прибавочная цѣнность—„Surplus-Value) უსესხია სიმონ დე-სისმონდისა და განსაკუთრებით ვილიამ ტომსონისაგან, რომლის თხზულებიდგანაც მარქსს ადგილები მოჰყავს სულ სხვა საგანთა შესახებ. ორმავე ამ მწერალმა თვისნი თხზულებანი გამოსცეს 1824 და 1828 წლებში.

3) ესრედ წოდებული „მატერიალისტური ახსნა ისტორიისა“, ენგელსის მიერ გამოგონილი სახელ-წოდება, იგივ ევოლიუციონური შეხედულებაა ისტორიაზედ. და კვლავ დამტკიცებულია ურიცხვის ამონაწერით, რომ ეს დიდებული მოძღვრება შეუმუშავებია სრულიად მეცნიერებას, ვიკოსა, ენციკლოპედისტთა, ვოლნეადგან დაწყებული და დამთავრებული ოგიუსტ კონტისა, მილლისა, ბოკლისა, სპენსერისა, ლეტურნოს და სხვათა და სხვათაგან, და არა მარქსიზმს...

— მერე რატომ ვერ შენიშნეს ყოველივე ეგ მეცნიერებმა ბელტოვმა, ბარანოვსკიმ, ვოლგინმა, სტრუვემ და სხვათა?..

უვიცობისა გამო, მკითხველო, მტკნარის უვიცობისა გამო. დიაღ. იქნება დაიჯეროთ, რომ მართლაც მე ეს გაბერილნი და თავ-მომწონე უვიცნი მეცნიერებად მიმაჩნდეს? ჩვენში და რუსეთშიაც ესენი მხოლოდ იმიტომ გახდნენ სალაპარაკონი, რომ, გავიხსენებ პუშკინის უკვდავს სიტყვებს:

„Мы всѣ учились понемногу,
Чему-нибудь и какъ-нибудь,
Такъ просвѣщеніемъ—слава Богу!—
У насъ немудрено блеснуть“...

მართლაც, მხოლოდ მტკნარ უვიცთა შორის შეიძლებოდა მოეხვეჭათ სახელი მეცნიერებისა ამ ვაჟბატონთ, ამ ფურიეს, კონსიდერანისა, ოვენისა და ტანჯულ კაცობრიობის სხვა დიდებულ მეგობართა ცილის-მწამებელთ. ჭეშმარიტ მეცნიერთა შორის-კი მათი ფასი გახვრეტილი გროშია; მუშათა და გლეხთა მეგობარნი უკვე ჰგრძნობენ, რომ ამ სხვისის აზრების მიმთვისებელმა მოძღვრებამ გზაკვალს გადააცდინა საზოგადოებრივი თვით-შემეცნება და იქამდე თავი აიშვა, რომ უზნეო ქადაგება დაიწყო, საკეთილოა, რომ ხალხი უმიწა-მამულოდ შეიქმნასო და ჰკიცხავს და დასცინის კაცობრიობის უდიდებულესს მეგობართა და გულ-შემატკივართა.

შეუნდენ და მიუტევენ, უფალო... ისტორია?... ის-კი შეუნდობს და მიუტევებს ასეთს საქციელს?.. არა მგონია.

ვ. მარველი

---

*) იხ., „Связь философіи съ жизнью“, სიტყვა, წარმოთქმული პროფეს. ვ. ვუნდტის მიერ, თარგმანი ი. პიურკოვსკისა. ოდესსა. 1893 წ. გვ. 22.

ხატით. მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ სასადილო ოთახში, სადაც ხელმწიფემ გასინჯა პური, და დაათვალიერეს სქიმოსანთა სურათები. მათი უდიდებულესობანი შებრძანდნენ მაცხოვრის ეკკლესიაში, თაყვანი სცეს ხატებს და დაათვალიერეს ეკკლესიის სალარო. წინამძღვრის ნახვის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ შობის ეკკლესიაში, სადაც ასვენია ნაშთი პერესვეტისა და ოსლაბის მწირ მხედართა. მათ უდიდებულესობათ მიეგება მღვდელი ჯვრით და აიაზმით.

**მოსკოვი.** დღეს, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელ-წოდების დღეს, ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში უფროსმა სამღვდელოებამ, წარჩინებულთა კაცთა თანადასწრებით, სადღესასწაულო ღვთის მსახურება გარდაიხადა. მეთერთმეტე საათზედ ვლადიმირის დარბაზში შეიკრიბნენ კარის-კაცნი, გენერლობა; აქვე ჰბრძანდებოდნენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და პრინცი ნაპოლეონი. მათნი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძითა და მისის მეუღლითურთ. წაბრძანდნენ ეკკლესიაში, სადაც სასახლის სამღვდელოებამ წირვა გარდაიხადა.

ქუჩები ხალხით სავსე იყო, რომელიც გამოსულიყო მათ უდიდებულესობათა გასაცილებლად. გზაზედ ჯარი იდგა და მოსწავლენი სამხედრო სასწავლებლებისა და კადეტის კორპუსებისა. მეექვსე საათზედ გაისმა ზარების რეკვა და მათნი უდიდებულესობანი რკინის გზის სადგურზედ წაბრძანდნენ. ხალხი ალტაცებით ეგებებოდა ყველგან რკინის გზის სადგურზედ, რომელიც მორთული იყო ისე, როგორც მთელი მოსკოვი, მათ უდიდებულესობათ მიეგება დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა და ქალაქის მოურავმა მათ უდიდებულესობათ ყვავილების თაიგული მიართვეს. სადგურზედ მათნი უდიდებულესობანი მოწყალებით გამოელაპარაკნენ გასაცილებლად შეკრებილ წარჩინებულთა და წოდებათა წარმომადგენელთ. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი შებრძანდნენ ვაგონში. თან აჰყვნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, რომელნიც კლინის სადგურამდე გააცილებენ. მატარებლის დაძვრის დროს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხალხმა გულ-მხურვალედ დაულოცა გზა.

**პეტერბურგი.** ხელმწიფა იმპერატრიცას სახელ-წოდების დღეს ყოველს ეკკლესიაში სადღესასწაულო ღვთის-მსახურებანი იქმნა გარდახდილი.

**ლონდონი.** სამეფო აკადემიის წლიურს ნადიმზედ, რომელსაც შვეციის მეფე და უელსის პრინცი დაესწრნენ, სალისბერმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ რაკი ჩვენმა ჯარმა უკვე დაიწყო წინ-სვლა სამხრეთ-აფრიკაში, იმედია ომი ჩქარა გათავდებაო.

**ბერლინი.** დღესასწაული კრონპრინცის სრულ-წლოვანად შესრულებისა გამო დაიწყო 11 საათზედ სასახლის ეკკლესიაში ღვთის-მსახურების გარდახდით. დაესწრნენ: სადიპლომატიო კორპუსი, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, საკავშირო საბჭოს წევრნი, ჯარების დეპუტაციები, გენერლები, ადმირალები, მინისტრები და ამალა. გალობის დროს მობრძანდნენ იმპერატორი, იმპერატრიცა და სხვანი უმაღლესნი გვამნი. წინ მოდიოდნენ იმპერატორი ფრანც-იოსები და გერმანიის იმპერატრიცა, აგრეთვე იმპერატორი ვილჰელმი და დიდი ჰერცოგი ბადენისა. ამათ მოსდევდნენ იტალიის მემკვიდრე პრინცი, კრონპრინცი და მისნი ძმანი. ქადაგების შემდეგ დაიწყო პრინცმა ფიცის დადება. მემკვიდრე პრინცმა მარჯვენა ხელი ასწია ფიცის მისაღებად, ხოლო მარცხენა დროშაზედ დასდო. გენერალ-ადიუტანტი ლესსენი ამბობდა ფიცის სიტყვებს, პრინცი ხმამაღლა იმეორებდა; ამის შემდეგ იმპერატორმა ხელი მისცა შვილს და ლოყაზედ აკოცა, კრონპრინცი იმპერატორს ხელზედ ემთხვია, შემდეგ მათ უდიდებულესობათა და კრონპრინცს მიულოცეს იქ მყოფთ.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება: „დღეს სამის მილის მანძილზედ მივუახლოვდი მდინარე ვეტს, ბურები მრავლად მეორე ნაპირზედა სდგანან. სამის საათის განმავლობაში ვესროდით ზარბაზნებს მტერს, მაგრამ გასავალი გზა ვერ გავიხსენით, გეტტონის ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა მოუარა მარჯვნივ მტერს და მდინარეზედ გადავიდა. გამილტონის დივიზიამ გუშინ ხელი შეუშალა შეერთებულიყო ბურების ორი რაზმი. ცხენოსანი ჯარი თავს დაესხა ბურებს და ისინი გაიქცნენ. ბრძოლის ველზედ დასტოვეს მოკლულნი და დაჭრილნი. ბარტონის რაზმი დღეს რუდიამის ჩრდილოეთით შეებრძოლა მტერს და ადგილ-სიმაგრეები წაართვა“.

24 აპრილი

**პეტერბურგი.** მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ მობრძანდნენ 24 აპრილს მოსკოვიდგან პეტერბურგს.

**ლორენცო-მარკეზე.** ტრანსვაალიდგან 152 ბრიტანიის ქვეშევრდომი მოვიდა.

**ვარრენტონი.** ბურებმა დასტოვეს ვინძორტონი და კლიგდამი და ჩრდილოეთისაკენ მიდიან. ბარტონი თან მისდევს ძლიერის სროლით.

**ლონდონი.** გამილტონი გადავიდა მდინარე ვეტზედ. ბურებს, რომელნიც გუშინ რუიდამიდგან ორის მილის მანძილზედ იდგნენ, ბარტონის ჯარის პირის-პირ, ეხლა დიდი ადგილ-სიმაგრე უჭირავთ.

**ტაბანჩუ.** რენდლის რაზმი, რომელიც უკან მისდევდა ბურებს, დაეწია და ბრძოლა აუტეხა. ბურები იძულებულ იქმნენ დაეტოვებინათ ის სერი, რომელზედაც იდგნენ.

**ბერლინი.** საღამოზედ იმპერატორი ფრანც-იოსები წაბრძანდა ბერლინიდგან. გააცილეს იმპერატორმა ვილჰელმმა, კრონპრინცმა, პრინცმა ჰენრიხმა და სხ. ორივე იმპერატორი გულითადად გამოეთხოვა ერთმანეთს.

**პარიჟი.** ქალაქის არჩევანები ასე დასრულდა: ქალაქის წარმომადგენლებად არჩეულნი არიან 6 რესპუბლიკელი, 2 რადიკალი, 1 რადიკალ-სოციალისტი, 8, ნაციონალისტი, 8 კონსერვატორი და 1 წევრი ზომიერის დასისა.

—◆◆—

## წერილი რედაქციის იმართ.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნთ იოსებ ლექავასა და თეოფილე გაბრიელის ძეს ბოლქვაძეს, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს სამღთოის სამრევლო სკოლას პირველმა ძველისა და ახალის აღთქმის სრული ისტორიული სურათები, ხოლო მეორემ თვიური ჟურნალი „ჯეჯილი“ 1899 წელსა და ამ წელშიაც მადლობასავე ვწირავ მღვდელს მამა იესე ინგოროყვას; ბ-ნთ სერგო ანტონის ძე თავაძესა და ხარლამპი ბეჟანის ძე ლომაძეს, რომელთაც სამღთოის სკოლას გამოუწერეს „ივერია“ და „კვალი“.

სამღთოის სამრევლო სკოლის მასწავლებელი გერასიმე ნაკაიძე

—◆◆—


## განცხადებანი

ამ წლის პირველ აპრილიდგან

გორიდგან ქ. ცხინვალამდე

ივლის ომნიბუსი

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი გორიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათსა. ცხინვალიდგან წამოვა დილის შვიდ საათსა და იქმნება გორს ათის ნახევარზე.
ომნიბუსების პატრონნი: [illegible] (10—6.—7)

[illegible]

ა. ს. [illegible]

[illegible] 1892-დან 1899 წლამდე [illegible]

[illegible]

(30—44—26)

ПРЕЙСЪ-КУРАНТЫ БЕЗПЛАТНО

КВЕЕСА ИСПЫТАННЫЯ СѢМЕНА

КАВКАЗСК. СѢМ. ХОЗЯЙСТВО К. П. КВЕЕСЪ ТИФЛИСЪ

(50—267—26)


# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აპრილისათვის 1900 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | 12060 | 01 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 10000 | — |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 124 | 54 |
| IV. | სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | |
| | ა) უზრუნველ-ყოფილნი: 1680 — — | | |
| | ბ) არა უზრუნველ-ყოფილნი: 3999 — 95 | 5679 | 95 |
| V. | სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 3121 | 38 |
| VI. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი | 235192 | — |
| VII. | განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | 2574 | 75 |
| VIII. | პროტესტში წასული თამასუქები | 320 | — |
| IX. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 9328 — 62 | | |
| | ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 36952 — | | |
| | გ) საქონელზედ 29009 — 50 | | |
| | დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 5761 — 25 | 81051 | 37 |
| X. | დასაბრუნებელი ხარჯი | 142 | 03 |
| XI. | მოწყობა-მომართვა | 2005 | 08 |
| XII. | კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) | 4684 | 55 |
| XIII. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 174 | 48 |
| XIV. | სხვა-და-სხვა დებიტორები | 315 | 08 |
| XV. | გარდასაცემი თანხა | 523 | 84 |
| XVI. | მიმდინარე ხარჯი | 4011 | 46 |
| | სულ | 361980 | 52 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 784 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 81271 | — |
| II. | სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3243 | 11 |
| III. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით 94817 — 29 | — | — |
| | ბ) ვადით 162032 — — | | |
| | გ) უვადოდ, „ — — | 256849 | 29 |
| IV. | გარდასაცემი თანხა | 3107 | 18 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი | 1039 | 05 |
| VI. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 23 | 05 |
| VII. | წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად. | 300 | — |
| VIII. | კორესპონდენტები ჩვენის ანგარიშ. (nostro) | 1091 | 73 |
| IX. | განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილებაში, უზრუნ.-ყოფ. თამასუქებით | 1 | 38 |
| „ | განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერც. ბანკში, უზრუნ.-ყოფ. %-იან ქაღალდ. | — | — |
| X. | 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი | 1397 | 59 |
| XI. | მიღებული სარგებელი | 6765 | 34 |
| XII. | 1899 წლის წმინდა მოგება | 6741 | 80 |
| XIII | 1900 მოგებისა და ზარალის ანგარიში | 150 | — |
| | სულ | 361980 | 52 |
| | პასუხის-მგებლობა 784 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 731439 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | 5200 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ | 968 | 40. |

(1—6.—1)

Дозволен оцензурою. Тифлисъ, 23-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე